ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4387591

ნომერი: AR1661871

თარიღი : 15.02.2019

გაცემის თარიღი : 22.02.2019

გაცნობის თარიღი : 14.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის II მ/რ-ნი , I კვ. კორპ. N2-ის მიმდ. ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობების I და II მ/რ-ებს შორის, მდებარე ხევის გასწვრივ და ასასვლელი გზის დასაწყისში.; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობის I და II მ/რ -ებს შორის მდებარე ხევის გასწვრივ და ასასვლელი გზის დასაწყისში;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გურამ თეთრაშვილი პ/ნ 01025003847
- კოსტავას 71ა ბ 47

ორგანიზაცია:
- შპს "დელტა დეველოპმენტი" კოდი: 405192321

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისისმერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის06 ოქტომბრის №კოლ 1/196 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანისთაობაზე.
ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 15 თებერვლის AR1661871 განცხადებით მომართაგურამ თეთრაშვილმა და მოითხოვაქალაქ თბილისისმერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის06 ოქტომბრის №კოლ 1/196 ქალაქმშენებლობით

პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით. სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლასაქმისათვის არსებითიმნიშვნელობის მქონეგარემოებები დადაადგინა, რომქ. ტბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობების I და II მ/რ-ებს შორის ასასვლელი გზის დასაწყისში და ხევის გასწვრივ, შერეული ფუნქციის (საცხოვრებელი, კომერციული, ოფისები) შენობის აშენების მიზნით ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 6 ოქტომბერს დამტკიცდა №კოლ 1/196 ქალაქმშენებლობით პირობები.

2017 წლის 19 აპრილის №3214861 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქმშენებლობით პირობებში, კერძოდ დაფიქსირდა საკადასტრო გეგმები: (საკადასტრო კოდი #01.14.01.007.246 ფართობი 600კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882014290561; რეგისტრაციის თარიღი 29/08/2016 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882014290561, რეგისტრაციის თარიღი 29/08/2016წ.); (საკადასტრო კოდი #01.14.01.007.291 ფართობი 1650 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017098878, რეგისტრაციის თარიღი 21/02/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882017098878, რეგისტრაციის თარიღი 21/02/2017წ.); (საკადასტრო კოდი #01.14.01.007.290 ფართობი 1825 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017098878, რეგისტრაციის თარიღი 21/02/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882017215066, რეგისტრაციის თარიღი 23/03/2017 წ.).

2017 წლის 30 ივნისს №3365018 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქმშენებლობით პირობებში, კერძოდ დაემატა:1) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“–ს 2017 წლის 8 ივნისის #23 სხდომის ოქმი; 2) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 2017 წლის 20 ივნისის 1–1445 ბრძანება და შენიშვნის სახით დაემატა: „1) N01.14.01.007.300 და N01.14.01.007.290 საკადასტრო ერთეულებზე მშენებლობის განხორციელება მოხდეს ინდივიდუალურად ცალკე მდგომი შენობა–ნაგებობების სახით;“

2017 წლის 14 დეკემბერის №3735694 ბრძანებით შეთანხმდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და 2017 წლის 26 დეკემბრის №3751863 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
2017 წლის 5 მაისს გაიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის №1-1059 ბრძანება.
2019 წლის 12 თებერვალს გაიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №ბ01.01190434 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 5 მაისის №1-1059 ბრძანებაში ცვლილების შეტანის ტაობაზე.

დღეის მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვსქალაქ თბილისისმერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის06 ოქტომბრის №კოლ 1/196 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანასდა ახალი საკადასტრო კოდის (N 01.14.01.007.318) დაფიქსირებას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემისწესისა დასანებართვო პირობებისშესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწისნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდაისახოს კანონმდებლობით, მათ შორისამ დადგენილებით განსაზღვრული ისსავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქთბილისის მუნიციპლიეტეტის სსიპ – ქალაქ თბილისისმუნიციპლიეტეტის არქიტექტურის სამსახურის ქალაქ თბილისისმუნიციპლიეტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის7 მაისის №1243849 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისშეტანა.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილებაქალაქ თბილისისმერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის06 ოქტომბრის №კოლ 1/196 ქალაქმშენებლობით პირობებში, კერძოდ დაფიქსირდეს განახლებული საკადატრო მონაცემები: საკადასტრო კოდი: N 01.14.01.007.318; განცხადების ნომერი: N 882019064876; მომზადების თარიღი:

31/01/2019; ფართობი: 3127.00 კვ.მ;
2.წინამდებარე ბრძანებაგანხილულ იქნასქალაქ თბილისისმერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის06 ოქტომბრის №კოლ 1/196 ქალაქმშენებლობით პირობებთან და 2019 წლის 12 თებერვლის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის №ბ01.01190434 ბრძანებასთან ცერთად;
3. ბრძანება შეიძლებაგასაჩივრდეს ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩაN7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთითვის ვადაში.

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენლებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.